ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

ვაკის რაიონის გამგებელს

ბ-ნ დავით კვინიკაძეს

ქ. თბილისის

ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩის

მაცხოვრებლების

განცხადება

ვინაიდან მიმდინარეობს ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩის ინტენსიური განაშენიანება და ავტომობილების ნაკადმა მიაღწია კრიტიკულ რაოდენობას, რის გამოც აღნიშნულ ტერიტორიაზე შეუძლებელია ფეხით უსაფრთხოდ გადაადგილება, გთხოვთ, განიხილოთ უნივერსიტეტის ქუჩის მხრიდან ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩასთან დამაკავშირებელი საფეხმავლო კიბის მოწყობის შესაძლებლობა.

ამასთანავე წარმოგიდგენთ სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას რითაც დასტურდება მიმდებარე გზის სავალ ნაწილზე ქვის ცვენის და სხვა მეწყერული პროცესების განვითარების რისკი. აღნიშნულ ფერდობზე საფეხმავლო კიბის მოწყობა ამავდროულად უზრუნველყოფს ფერდობის გამაგრებას და მოახდენს ქვის ცვენის რისკების აღმოფხვრას.

წინასწარ გიხდით მადლობას:

სახელი, გვარი (გარკვევით)	პირადი ნომერი	ხელმოწერა
[illegible]	01024030072	
[illegible]	01024013635	
[illegible]	62001021999	
[illegible]	01003010581	
[illegible]	59393 3272 / 01024000382	
[illegible]	01009001182	
[illegible]	01010010436	

სახელი, გვარი (გარკვევით)	პირადი ნომერი	ხელმოწერა
ჩუსუდან წულაძე	35001009018	
ლალიკო წოწორია	01030040705	
ვახტანგ წოწორია	28001006083	
მარიამ ლორთქი	57001038304	
ალეკო მამალაშვილი	01008000035	
დავით სოხაძე	02001000402	
ბიძინა ფაღავა	39001038784	

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5002724123

01/05/2023

5002724123

შპს "აიჯიაი ასისტანსი"-ს წარმომადგენელს
(მინდობილობით) ბნ დიმიტრი უთრუთაშვილს

(ქალაქი თბილისი, ფანჯიკიძის #22)

ბატონო დიმიტრი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2023 წლის 7 აპრილის რეგისტრაციის N1002634423) საფუძველზე, გიგზავნით N002905323 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 06 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

5002724123

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 02.05.2023 (ხელმოწერა) ბ.ა

002905323

ექსპერტის დასკვნა № 002905323

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს აიჯიჯი ასისტანსი

თანამდებობა: წარმომადგენელი (მინდობილობით)

მისამართი: ქალაქი თბილისი, ფანჯიკიძის #22

სახელი და გვარი: დიმიტრი უთრუთაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

მირზა მესხი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 16 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, გვიპასუხოთ, არსებობს თუ არა ქ.თბილისში ალ. იოსელიანის ქუჩის, საკადასტრო კოდი 01.14.05.009.002 მიწის ფართსა და უნივერსიტეტის ქუჩას შორის მდებარე გრუნტის, გზის სავალ ნაწილზე ჩამოშლის (ქვის ცვენის) რისკები და ამასთანავე შესაძლებელია თუ არა შესაბამისი გამაგრებითი და სხვა ღონისძიებების გატარებით ამ რისკების თავიდან აცილება?

შემოსვლის თარიღი: 07/04/2023 წ

გასვლის თარიღი: 01/05/2023 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ალ. იოსელიანის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი 01.14.05.009.002) და უნივერსიტეტის ქუჩას შორის არსებულ ფერდობზე, მისი მაღალი დახრილობის, ამგები კლდოვანი ქანების ფიზიკური მდგომარეობის, ფერდობის თავზე (თხემზე) მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, არსებობს ცალკეული ქვათაცვენებისა და მცირე ზომის კლდეზვავების წარმოქმნა/გააქტიურების რისკი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფერდობებზე ქვათაცვენითი და კლდეზვავური პროცესების წარმოქმნა/განვითარების რისკის თავიდან აცილებისა და ფერდობის გრძელვადიანი მდგრადობისთვის საჭირო შესამაბისი ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის დამცავი საინჟინრო ნაგებობების დაპროექტებასა და მოწყობას შესაბამისი კვლევებისა და გაანგარიშების საფუძველზე.

მირზა მესხი

002905323

ექსპერტის დასკვნა № 002905323

გამოკვლევა

დამკვეთის, შპს „აიჯიჯი ასისტანსი“-ს წარმომადგენლის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1002634423) შესაბამისად, გამოსაკვლევ ტერიტორიას წარმოადგენს ქ. თბილისში, ალ. იოსელიანის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი 01.14.05.009.002) მდებარე მიწის ფართსა და უნივერსიტეტის ქუჩას შორის არსებული ტერიტორია და კვლევის მიზანია არსებობს თუ არა ტერიტორიაზე არსებული ფერდობის ჩამოშლის (ქვის ცვენის) რისკები და ამასთანავე, შესაძლებელია თუ არა შესაბამისი გამაგრებითი და სხვა ღონისძიებების გატარებით ამ რისკების თავიდან აცილება. აღნიშნულის საფუძველზე მიმდინარე წლის 01 მაისს, დამკვეთის წარმომადგენლის თანდასწრებით და მისი მითითებით ადგილზე დათვალიერდა გამოსაკვლევი ფერდობი, მოხდა საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური თვალსაზრისით ტერიტორის ვიზუალური შეფასება და არსებული სიტუაციის დასურათება.

ფერდობი მდებარეობს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ადგილის კოორდინატი: 0476520; 4618510) და წარმოადგენს აღმოსავლეთური ექსპოზიციის მქონე ფერდობს. კვლევის მომენტისთვის ფერდობის ზედა (თხემურ) ნაწილში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.05.009.002) მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, ხოლო ფერდობის ძირში მდებარეობს საავტომობილო გზა (უნივესიტეტის ქუჩის გარკვეული მონაკეთი).

გამოსაკვლევი ფერდობი დაახლოებით 8-10 მეტრის სიმაღლეზე, ვერტიკალური ქანობით ხელოვნურად არის ჩამოჭრილი (სავარაუდოდ გზის, უნივერსიტეტის ქუჩის მოწყობის დროს). ჩამოჭრილ ფერდობზე გაშიშვლებული კლდოვანი ქანები შრეებრივია. ისინი ზედაპირზე ინტენსიურად არის განაწევრებული, გამოფიტული და ნაპრალოვანია. შრეების დაქანება და დახრის კუთხე (დაქანების აზიმუტი 358-006, დახრის კუთხე 34-38^0) ფერდობების ექსპოზიციასა და მისი ზედაპირის დახრილობასთან თანხვედრაში არ არის (გთხოვთ, იხილოთ ფოტოილუსტრაცია).

ფერდობის სხვადასხვა ადგილიდან პერიოდულად ხდება სხვადასხვა ზომის ნატეხების ჩამოცვენა, რომელიც ფერდობის მაღალი დახრილობიდან გამომდინარე გრავიტაციის გავლენით ფერდობის ძირისკენ გადაადგილდება. უნდა აღინიშნოს, რომ ფერობის გარკვეულ ნაწილზე, ანკერებით დამაგრებულია მავთულბადე, რომელსაც სავარაუდოდ სწორედ ქვათაცვენის საწინააღმდეგო ფუნქცია უნდა ქონდეს. თუმცა დღეის მდგომარეობით, ფერდობის ძირში მაინც არის აკუმულირებული შედარებით წვრილი ნატეხები.

ზოგადად, ქვათაცვენებისა და კლდეზვავების, როგორც გეოლოგიური მოვლენის ბუნებრივად მომზადების პროცესი ხანგრძლივია, ხოლო მათი გამოვლენა მყისიერად ხდება. მათი ჭარმოქმნის მიზეზი შეიძლება გახდეს ბუნებრივი ფაქტორები ან შესაძლოა ხელოვნური ფაქტორებითაც იყოს განპირობებული. ბუნებრივი ფაქტრებიდან ქვათავცენებისა და კლდეზვავების მომზადებაში დიდ როლს ასრულებს მაგალითად მიწისქვეშა ბიძგები (მიწისძვრა), კლიმატური ფაქტორები, ქანების გაყინვა-გალღობა, დროთა განმავლობაში მათი გამოფიტვა და დანაწევრება, გრავიტაციული ძალების მოქმედება ზედაპირულ ზონაში და სხვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქვათაცვენის გამომწვევ ხელოვნურ ფაქტორად შესაძლოა ჩაითვალოს ფერდობის თავზე (თხემზე) მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენა ფერდობის ამგებ გრუნტებზე. ამიტომ გრძელვადიან პერიოდში, არსებობს ფერდობზე ციკლეული ქვათაცვენების წარმოქმნისა და განვითარების რისკი. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ფერდობის ამგები კლდოვანი ქანების შრეების დაქანება და დახრის კუთხე (დაქანების აზიმუტი 358-006, დახრის კუთხე 34-38^0) ფერდობების ექსპოზიციასა და მისი ზედაპირის დახრილობასთან თანხვედრაში არ არის. რაც, ზოგადად დადებითად მოქმედებს ფერდობის საერთო მდგრადობაზე და ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს დიდი მოცულობის მქონე კლდოვანი მასივის დაცურებისთვის, რა დროსაც მოწყვეტილ მასივს აქვს სრიალის ბრტყელი ზედაპირი და გადაადგილება ხდება რომელიმე შრის ზედაჰირის გასწვრივ. ამ ფერდობზე, მასშტაბური, კლდეზვავების ჩამოყალიბება და მისი სიმძლავრე დამოკიდებულია ფერდობის ამგები კლდოვანი ქანების გამოფიტვის (ღორღოვანი) ზონის სიმძლავრეზე (სიღრმეზე). გამოფიტვის ზონის სიმძლავრის (სიღრმის) დადგენა კი ვიზუალური შეფასებით ვერ ხერხდება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ფერდობის მაღალი დახრილობის, მისი ამგები კლდოვანი ქანების ფიზიკური მდგომარეობისა, ფერდობის თავზე (თხემზე) მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შემდგომშიც არსებობს ცალკეული ქვათაცვენებისა და მცირე ზომის კლდეზვავების წარმოქმნა/გააქტიურების რისკი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფერდობებზე ქვათაცვენითი და კლდეზვავური პროცესების წარმოქმნა-განვითარების რისკის თავიდან აცილებისა და ფერდობის გრძელვადიანი მდგრადობისთვის საჭირო შესამაბისი ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის დამცავი საინჟინრო ნაგებობების დაპროექტებასა და მოწყობას შესაბამისი კვლევებისა და გაანგარიშების საფუძველზე.

მირზა მესხი

002905323

ექსპერტის დასკვნა № 002905323

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მერაბ აბაზაძე

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

002905323

ექსპერტის დასკვნა № 002905323

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6